# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-685

16/08/2018

ქ. თბილისი

**„საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „ქუთაისი (საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის კმ-75-81-კმ მონაკვეთის რეკონსტრუქციაზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-12 პუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს ადიგენის მუნიციპალიტეტში, „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის „ქუთაისი (საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის კმ-75-81-კმ მონაკვეთის რეკონსტრუქციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა N31; (14.08.2018წ.)
2. „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #31 (14.08.2018 წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ადიგენისა და აბასთუმნის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი